დანართი №2

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიის - SBA- ს მიერ „შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ელენე კაკაბაძე

წევრები:

მანანა მოისწრაფიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

(ქალაქი, წელი)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 406037550

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 29 მარტის N 352675 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე);
2. მანანა მოისწრაფიშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი).

ექსპერტთა ჯგუფს დაევალა მიმდინარე წლის 10 აპრილს „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA -ში (ქ.თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18/22).

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA -ს მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2023 წლის 8 მარტს წარმოდგენილი განაცხადი თანდართული დოკუმენტაციით „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ.

ვიზიტი წარიმართა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგით მშვიდ, საქმიან და კეთილგანწყობილ ვითარებაში. დოკუმენტაციის შესწავლის, ადმინისტრაციასთან და პერსონალთან გასაუბრების, მატერიალური რესურსის და პრაქტიკის ობიექტის ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შედგა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და სტუდენტებისთვის მეტი შესაძლებლობის შეთავაზების მიზნით აქტიურად თანამშრომლობს დარგობრივ ბიზნეს ასოციაციებთან და გაერთიანებებთან.

ამჯერად „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება:

- **CoSHO შრომის უსაფრთხოების ორგანიზაციების კონფედერაციასთან;**
- **SafCo - ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების კომპანიასთან;**
- **ა(ა)იპ საქართველოს სახანძრო პრევენციის ასოციაციასთან.**

ა(ა)იპ საქართველოს სახანძრო პრევენციის ასოციაციასთან გაფომებული ხელშეკრულების თანახმად, აკადემიის სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ დიპლომთან ერთად მიიღონ სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების შესახებ, ეკონომიკის სამინისტროს მიერ აკრედიტებული პროგრამის სერტიფიკატი, რაც დამატებითი შესაძლებლობაა, იმისთვის რომ აკადემიის სტუდენტები იყვნენ შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

არ გამოვლენილა.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ ხარვეზი არ დაფიქსირდა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ რეკომენდაციები არ გაიცა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA -ს დირექტორის 2023 წლის 03 მარტის N 00000034 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ.თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18/22
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	120 პროფესიული სტუდენტი, ქ.თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18/22, მოდულური
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	----
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	----
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	----
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

აკადემიას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“, რომლის თანახმად, პროგრამის განხორციელების თაობაზე ინიცირება და მიზანშეწონილობის დასაბუთება განიხილება აკადემიის სენატის სხდომაზე. სენატის მიერ პროგრამის ინიცირების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, აკადემიის დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც იხილავს აკადემიის რესურსებს (ფინანსური, მატერიალური (მათ შორის - საგანმანათლებლო), ადამიანური), აკადემიის შესაძლებლობას, პროგრამაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთებას და პროგრამის განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე დასკვნას წარუდგენს აკადემიის დირექტორს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ შემუშავებულია აღნიშნული წესის შესაბამისად. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით და შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს სენატის 2023 წლის 09 თებერვლის N01 საოქმო გადაწყვეტილების შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა გამომდინარეობს ქვეყნის მასშტაბით პროფესიული კადრების საჭიროებიდან, დაწესებულების წარმომადგენელთა ინფორმაციით, კოლეჯი მუდმივ კომუნიკაციაშია დამსაქმებლებთან და ასევე, მათ აქვთ შრომის უსაფრთხოების მიმართულებით სწავლების გამოცდილებაც. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განხორციელება შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, რომელშიც გაცხადებულია, რომ იგი განვითარებაზე ორიენტირებული დაწესებულებაა, რომელიც ზრუნავს სამეწარმეო, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით და უნარებით აღჭურვილი პროფესიონალების განათლებაზე და სტარატეგიული განვითარების გეგმათან, რომლის პირველი მიზნის მიხედვით კოლეჯი საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრს გააფართოებს მოთხოვნად სწავლის სფეროებში. აღნიშნული მიზნის შესაბამისად კოლეჯის 2022/2023 წლის სამოქმედო გეგმაში შეტანილია ამოცანები და აქტივობები.

პროგრამა ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და მოთხოვნადია, ვინაიდან საქართველოში საერთაშორისო შეთანხმებებით შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვისა და ეფექტური შრომის ინსპექციის ამოქმედება სავალდებულოა და ქვეყანაში მოქმედი ყველა საჯარო თუ კერძო დაწესებულება კანონმდებლობის თანახმად ვალდებულია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, აგრეთვე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

საქართველოს კანონმდებლობით გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინებაც მოთხოვნილია ყველა საწარმოსა თუ დაწესებულების ფუნქციონირებისას. დასაბუთებისას, კოლეჯის მიერ ხაზგასმულია, რომ კვლევების მიერ გამოკვეთილია ორივე მიმართულებით კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, რაც შესაბამისობაშია რეალურ მდგომარეობასთან.

აქედან გამომდინარე, დაწესებულების მიერ პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა ნათლად და არგუმენტირებულადაა დასაბუთებული

და შეესაბამება აკადემიის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა, შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით მოთხოვნილ წინაპირობასთან. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რითიც ის უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიულ პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N 42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები" და შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიის - SBA - ს მარეგულირებელი წესების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, **პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

აკადემიას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი, რომლის მე-5 თავი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას და მოიცავს შემდეგ კრიტერიუმებს: სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას (A, B, C სასწავლო გარემოს მიხედვით), პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

საკმარისობას (პროფესიული განათლების მასწავლებლების მიხედვით) და პრაქტიკის ობიექტზე ხელშეკრულებით განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობას (პრაქტიკის ობიექტების მიხედვით).

აკადემიამ ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიიდან გამომდინარე წარმოადგინა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება, რომლის შესაბამისად განისაზღვრა 120 პროფესიული სტუდენტი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად აკადემიას გამოყოფილი აქვს A, B და C სასწავლო გარემო, რომლებიც აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი რესურსებით. კერძოდ, 2 A სასწავლო გარემო (30-30 პროფესიული სტუდენტისთვის), 3 B სასწავლო გარემო (30-30 პროფესიული სტუდენტისთვის) და C სასწავლო გარემო, ღია სივრცე, რომელიც მოწყობილია აკადემიის ეზოში. სივრცე აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსით. აკადემიას საწარმოო პრაქტიკის მოდულის განსახორციელებლად ხელშეკრულება აქვს გაფორმებული პრაქტიკის 5 ობიექტთან.

დაწესებულებას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები რელევანტურად აქვს განსაზღვრული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შემოწმების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დაადგინეს, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ არჩევით მოდულებს არ ითვალისწინებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

აკადემიის დებულების მე-5 მუხლის 1.23 პუნქტის თანახმად დირექტორი ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2023 წლის 03 მარტის N 00000034 ბრძანებით, რაც ადასტურებს, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის - „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ საფუძველზე და კვალიფიკაცია ფორმულირებულია შემდეგნაირად - შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შდეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის - „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილების საფუძველზე (სარეგისტრაციო 07311-პ) და აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის“ შესაბამისად. პროგრამით განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, დამტკიცების/ცვლილების თარიღი, ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზანი, დაშვების წინაპირობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება, პროგრამის შემუშავების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

სამართლებრივი საფუძვლები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი. პროგრამა მოიცავს უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის განსაზღვრულ მოდულებს, სულ 120 კრედიტის მოცულობით ქართულენოვანი სტუდენტებისთვის და 150 კრედიტს არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც სათანადოდ არის ადაპტირებული პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით, რაც დადასტურდა დოკუმენტების გადამოწმებით და კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუების საფუძველზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების მისია https://sba.edu.ge;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2027 წ.წ.;
- აკადემიის სამოქმედო გეგმა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები";
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ს დირექტორის 2023 წლის 03 მარტის N 00000034 ბრძანება პროგრამის დამტკიცების შსახებ;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ს ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი";
- პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია";
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" მისაღებ სტუდენტთა ქვოტის დასაბუთება;
- აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის წესი;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ს დებულება;
- ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

---

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი.

ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; კოლეჯში პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A, B და C გარემოები, კერძოდ, 2A და 2B გარემო, რომლებშიც თითოეულში შესაძლებელია განთავსდეს 30-30 პროფესიული სტუდენტი. შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის აკადემიის ბაზაზე, ეზოში მოწყობილია C სასწავლო გარემო - რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. რაც შეეხება B გარემოების გამტარუნარიანობას, ვინაიდან ისინი სხვა პროგრამებთან საზიაროა, უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიაში ფუნქციონირებს სულ 6 ერთეული B სასწავლო გარემო, რომლებიც მიმდინარე წელს ადმინისტრაციის განმარტებით, დამატებით აღიჭურვა თანამედროვე ტიპის 27 პერსონალური კომპიუტერით და მათი ჯამური გამტარუნარიანობა დღეისათვის გახდა 1920 სტუდენტი, ხოლო კოლეჯის კვოტა კი დღეისათვის შეადგენს მხოლოდ 1000 სტუდენტს. აქედან გამომდინარე, მათი გამტარუნარიანობა განსახილველი პროგრამის დამატების კონტექსტში ეჭვგარეშეა. დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეუფერხებლად და სრულყოფილად მიღწევისათვის ყველა საჭირო აღჭურვილობა და მასალები და ასევე, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო მატერიალურ რესურსზე წვდომა. სასწავლო გარემოები აღჭურვილია სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა და სადემონსტრაციო ციფრული საშუალებებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისფარგლებში პრაქტიკის ხელშეკრულება გაფორმებულია შემდეგ საწარმოებთან 150 სტუდენტის პრაქტიკით უზრუნველყოფისთვის იმგვარად, რომ თითოეულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა პრაქტიკა გაიაროს ყველა ტიპის დაწესებულებაში. კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

---

1. შპს ,,საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა” (ს/კ 400023595), (30 პროფესიული სტუდენტი) იურ./ფაქტ მისამართი: ქ. თბილისი, თ.ერისთავის ქ. N2 გ.
2. სს ,,გუდვილი” (ს/კ 206343991), (30 პროფესიული სტუდენტი) იურ./ფაქტ მისამართი: ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის ქ. N1
3. შპს ,,თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა” (ს/კ 211385767) (30 პროფესიული სტუდენტი) იურ./ფაქტ მისამართი: ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, წინანდლის ქ. N9
4. შპს ,,პოლიმერი 1“ (ს/კ 206346097), (30 პროფესიული სტუდენტი) იურ./ფაქტ მისამართი: ქ. თბილისი, ქვემო ფონიჭალა, ვაგზლის ქ. N15ა,
5. შპს ,,გრანდი'' (ს/კ 205076665) (30 პროფესიული სტუდენტი) იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოტე მახარაძის, ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, ჯაბიძის ქ. N8

ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 120 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით.

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ სულ განახორციელებს 33 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 17 პროფესიული მასწავლებელი, რომელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. **ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს როგორც მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, ასევე პრაქტიკული გამოცდილებაც. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი. დაწესებულებას სტარტეგიული განვითარების გეგმაში და სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირების განვითარების აქტივობები, რომელსაც ახორციელებენ გარკვეული პერიოდულობით. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა აღნიშნა და პროგრამის განმახორციელებელმა პირებმაც დაადასტურეს ინტერვიურებისას, რომ პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებს კოლეჯის ორგანიზებით ჩაუტარდათ სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ შიდა ტრენინგები.

დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

შპს ,,საქართველოს ბიზნესის აკადემიის SBA"პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო და სხვა მოთხოვნები განსაზღვრულია „პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურებით", რომლის მოთხოვნათა შესაბამისად, პროგრამას ხელმძღვანელობს დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი და დარგის სპეციალისტად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე კომპეტენტური პირი, რაც დასტურდება მისი პირადი საქმის მიხედვით, კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, აგრეთვე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების შედეგებით. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების განხორციელების ინიცირებაზე, იგი ჩართულია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციაშიც. გარდა მისი დარგში პრაქტიკული გამოცდილებისა, მას გააჩნია შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამის განხორციელებისა და ხელმძღვანელობის გამოცდილებაც, მასზე გაცემულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნებართვა - ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარების მეთოდებისა და მიმართულებების მოდულის სწავლების შესახებ, გავლილი აქვს ტრენინგი „შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამა“ და „კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლება და შეფასებაში.“

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა კოლეჯის ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალურად დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე.
საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ კოლეჯის სამკითხველო დარბაზში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა.
ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის აკადემიის ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

აკადემიას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მართვის წესი, რომლის მე-6 მუხლი ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს: სპეციალისტის მოწვევა; ხმის აღწარმოების ელექტრონული პროგრამის გამოყენება (სმენადაქვეითებული პირებისთვის); საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფა; აკადემიის ტერიტორიაზე გადაადგილების ხელშეწყობა; სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერა; ადმინისტრაციული მხარდაჭერა; სხვა ღონისძიება, საჭიროების მიხედვით.

აკადემიას აღნიშნული მხარდაჭერის ღონისძიებების გასატარებლად ჰყავს ჟესტური ენის თარჯიმანი, ხმის აღწარმოების პროგრამის მასწავლებელი, ხელჯოხით უსაფრთხოდ გადაადგილების მასწავლებელი. აკადემიას საქართველოს უსინათლოთა კავშირის მხარდაჭერით აქვს ხმის აღწარმოების ელექტრონული პროგრამა, რომელსაც გამოიყენებს უსინათლო პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისათვის.

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტები გავესაუბრეთ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ აკადემიაში ჰყავდათ ერთი უსინათლო პროფესიული სტუდენტი, რომელმაც ისარგებლა ზემოაღნიშნული სერვისით და მისი კმაყოფილების კვლევის შედეგი დადებითი იყო.

აკადემიის დირექტორის მიერ შექმნილი არის კომისია პროგრამაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვისას, შეისწავლის პროფესიული სტუდენტის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას(მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას(სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და , შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

აკადემიას „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის შექმნილი აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს რენტაბელობის ზღვარს და წარმოდგენილია 17 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. ხარჯების ნაწილში გათვალისწინებულია პროგრამის მიზნებისთვის პირდაპირ გასაწევი და პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ზედნადები ხარჯები. საერთო და პროგრამისგან დამოუკიდებელი აქტივობების ხარჯები გაწეული იქნება აკადემიის საერთო ბიუჯეტიდან.

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტები გავესაუბრეთ აკადემიის ფინანსურ მენეჯერს, რომელმაც აღნიშნა, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ შედგება ფაქტობრივი ბიუჯეტი და შედარდება საპროგნოზო ბიუჯეტს, შედეგები გაანალიზდება და შესაძლოა მოხდეს საპროგნოზო ბიუჯეტის კორექტირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, აკადემიის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“;
- შპს ,,საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ს” ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- საბიბლიოთეკო რესურსების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესი;
- აკადემიის პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები;
- პროფესიულ მასწავლებელთა დატვირთვის სქემა;
- აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის წესი;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ს დებულება;
- აკადემიის პერსონალის, მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- ბიბლიოთეკართან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

აკადემიას შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი“, რომელსაც მუშაობის დროს ეყრდნობა ხარისხის მართვის სამსახური. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შედგება ქვეპროცესებისგან:

- აკადემიის პროცესებთან/პროგრამებთან დაკავშირებული რისკების შეფასება;
- პროცესების/პროგრამების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა;
- შემოწმების განხორციელება;
- დასკვნის შედგენა და უკუკავშირი;
- რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება.

ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ყველა ძირითადი პროცესი ექვემდებარება ყოველწლიურ შეფასებას. თუ პროცესი მოიცავს ერთზე მეტ პროგრამას, მათი შერჩევა ხდება რისკების შეფასების საფუძველზე და ფასდება პროგრამებთან დაკავშირებული რისკების შეფასების კითხვარით. პროგრამასთან დაკავშირებულ რისკ-ფაქტორად შესაძლოა გამოყენებული იქნას შემდეგი: ახალი პროგრამა; პროგრამის შემუშავების საფუძვლებში ცვლილებების განხორციელება; პროგრამის ახალ განმახორციელებელთა (პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

მასწავლებელი, პარტნიორი საწარმო) მაღალი ხვედრითი წილი; პროგრამის დასრულების დაბალი მაჩვენებელი; სტუდენტთა/მსმენელთა გადინების მაღალი მაჩვენებელი და სხვა რისკ-ფაქტორები. სამსახური დირექტორთან შეთანხმებული ერთი ან რამდენიმე რისკ-ფაქტორის გათვალისწინებით, ყოველი წლის აგვისტო-სექტემბერში ახორციელებს შესამოწმებელი პროცესების/პროგრამების იდენტიფიცირებას, რის საფუძველზეც ადგენს პროცესების/პროგრამების შემოწმების წლიურ სამოქმედო გეგმას, რომელიც მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ხარისხის მართვის სამსახური პროგრამების შემოწმებისას ახორციელებს: პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლის, პროფესიული სტუდენტის, პრაქტიკის ობიექტის (არსებობოს შემთხვევაში) გამოკითხვას; საგანმანათლებლო პროცესზე დასწრებას და დაკვირვებას; პროგრამის ფარგლებში ვერიფიკაციას. პროგრამის შემოწმების შემდეგ დგება დასკვნა, რომელიც წარედგინება აკადემიის დირექტორს.

ავტორიზაციის ექსპერტები გავესაუბრეთ აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსს, რომელმაც წარმოგვიდგინა აღნიშნული პროცედურების გათვალისწინებით შემუშავებული პროგრამების შემოწმების 2022 – 2023 წლის ხარისხის მართვის სამსახურის სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი: შესამოწმებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, შემოწმების ფარგლები და განხორციელების კვარტალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

აკადემიას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“, რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის განვითარებას და ცვლილებების განხორციელების შემთხვევებს და ცვლილებების განხორციელების პროცედურას. აკადემიაში ხარისხის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე-განავითარე“ მოდელზე.

საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება ემსახურება პროგრამის განვითარებას. პროგრამაში ცვლილების შეტანის საფუძველი შეიძლება იყოს პროგრამის ხელმძღვანელის ან სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის სამსახურეობრივი ბარათი, პროგრამაში ცვლილებების განხორციელების მიზანშეწონილობის თაობაზე. პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ სამსახურეობრივ ბარათს თან უნდა დაერთოს ცვლილებების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება და ცვლილებების პროექტი. ასევე ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

მართვის სამსახური ახორციელებს კვლევის შედეგების ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროცესების გაუმჯობესების მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტეთა შეფასებით აკადემიაში ხორციელდება პროგრამის შედეგების შეფასება/ცვლილებები (საჭიროების შემთხვევაში) „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის“ შესაბამისად. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- აკადემიის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“;
- აკადემიის „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი“;
- პროგრამების შემოწმების 2022 – 2023 წლის ხარისხის მართვის სამსახურის სამოქმედო გეგმა;
- კვლევის კითხვარები;
- აკადემიის ხარისხის სამსახურის და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსებთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს სასწავლო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია: მოდულზე დაშვების წინაპირობა, გარემო, კრედიტი, სარეგისტრაციო N, მოდულის დასახელება, სასწავლო კვირა, საკონტაქტო, დამოუკიდებელი მეცადინეობა, შეფასება, განმეორებითი შეფასების კვირა, პრაქტიკის ობიექტი. ასევე გათვალისწინებულია სასწავლო გეგმა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის.

პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ აკადემიაში აღნიშნული პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმი შესაბამისად.

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

აკადემიაში საწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლაში, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა და მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ---



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

რომელსაც უნდა ფლობდეს პროფესიული სტუდენტი პროგრამის დამთავრებისას. თუმცა , როდესაც ფორს-მაჟორული სიტუაციაა და ვერ ხერხდება სასწავლო გეგმის დაცვა, აკადემია მოქნილად, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით რეაგირებს მსგავს გარემოებებზე. კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს სასწავლო გეგმის ცვლილებაში, სასწავლო პროცესის დისტანციურად დაგეგმვაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ან საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის განსახორციელებლად აკადემიის A, B და C სასწავლო გარემო აღჭურვილია შესაბამისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლების თანამედროვე მეთოდებში. პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიულ მასწავლებელთა უმრავლესობა დარგის მოქმედი სპეციალისტები არიან. აკადემიას შემუშავებული აქვს „პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები“, რომელიც ითვალისწინებს მასწავლებელთა მომზადების ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა დარგის სპეციალისტების მიერ მასტერკლასების ჩატარების ორგანიზება, პარტნიორ დაწესებულებებში მივლინება და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ სასწავლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლის და მათთან გასაუბრების შდეგად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

აკადემიას შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მართვის წესი“, რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმებს და პროცედურებს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შემუშავდება იმ შემთხვევაში, როდესაც პროფესიული სტუდენტის სწავლება შეუძლებელია სტანდარტული სასწავლო გეგმით და გეგმის პროექტს შეიმუშავებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, რომელიც უფლებამოსილია ამ პროცესში ჩართოს პროფესიული სტუდენტი (სტუდენტთა ჯგუფი), პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული მასწავლებლები და სხვა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პროგრამის დასრულება გონივრულ ვადებში, პროგრამის კომპონენტების განხორციელების წინაპირობების, ან პროგრამით დადგენილი სხვა მოთხოვნების დაცვა. ინდივიდუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

სასწავლო გეგმის პროექტი განხილული და შეთანხმებული უნდა იქნეს პროფესიულ სტუდენტთან (სტუდენტთა ჯგუფთან), რომლისთვისაც დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. გეგმის პროექტი და სტუდენტთან შეთანხმების მტკიცებულება დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიის დირექტორს, რომელიც გამოსცემს ბრძანებას, რომლითაც განსაზღვრავს იმ სტუდენტს (სტუდენტთა ჯგუფს), რომლებზეც ვრცელდება აღნიშნული აქტი.

ავტორიზაციის ექსპერტები ვიზიტის ფარგლებში გავესაუბრეთ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და ვნახეთ აღნიშნული მექანიზმების გამოყენების მტკიცებულებები პროფესიული სტუდენტებისათვის შეჩერებული სტატუსის აღდგენის შემთხვევაში. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საწარმოო პრაქტიკის მოდულის ფარგლებში სტუდენტები როტაციული წესით იქნებიან გადანაწილებული 5 საწარმოში და დაწესებულებაში, რომელთა სპეციფიკა სრულად ფარავს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები ასევე, ითვალისწიინებს პროფესიულ სტუდენტთა დაშვებას სწავლის შედეგების მიღწევისთვის ყველა საჭირო ინვენტართან და აღჭურვილობასთან. ეს საწარმოებია: შპს ,,საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა" , სს ,,გუდვილი", შპს ,,თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა", შპს ,,პოლიმერი 1", შპს ,,გრანდი''.

საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და სტუდენტებისთვის მეტი შესაძლებლობის შეთავაზების მიზნით აქტიურად თანამშრომლობს დარგობრივ ბიზნეს ასოციაციებთან და გაერთიანებებთან. ამჯერად „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება:

- CoSHO შრომის უსაფრთხოების ორგანიზაციების კონფედერაციასთან;
- SafCo - ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების კომპანიასთან;
- ა(ა)იპ საქართველოს სახანძრო პრევენციის ასოციაციასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

ა(ა)იპ საქართველოს სახანძრო პრევენციის ასოციაციასთან გაფომებული ხელშეკრულების თანახმად, აკადემიის სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ დიპლომთან ერთად მიიღონ სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების შესახებ, ეკონომიკის სამინისტროს მიერ აკრედიტებული პროგრამის სერტიფიკატი, რაც დამატებითი შესაძლებლობაა, იმისთვის რომ აკადემიის სტუდენტები იყვნენ შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება ხორციელდება ღია სივრცეში მოწყობილ უსაფრთხო გარემოში, სადაც გამოკრულია ყველა წესი და ინსტრუქტაჟი, ამასთან, თავად სასწავლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ხდება უსაფრთხოების პირობების დაცვა და წესების შესწავლა.

შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა;
- სასწავლო პროცესის მართვის წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- აკადემიის ადმინისტრაციასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

აკადემიას შემუშავებული აქვს „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი“ , რომელიც ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმენტების შერჩევის პროცედურას, სტრუქტურას, შემუშავების პროცედურას, ვალიდაციას, შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას, შეფასების ჩატარების სტანდარტულ პროცედურას, დისტანციურ რეჟიმში შეფასების ჩატარებას, დაკვირვების გარეშე პრაქტიკული დავალების შესრულების სტანდარტულ პროცედურას, სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურების (განმეორებითი შეფასება) პროცედურას, შეფასების პროცესის აკომოდაციას ან სტანდარტული პროცედურის ცვლილებას.

აკადემიაში სასწავლო პროცესის მართვის სამსახური გეგმავს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესს და განრიგს. შეფასების ინსტრუმენტებს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებლები და წინასწარ დადგენილ ვადაში წარუდგენს სასწავლო პროცესის სამსახურს, რომელიც შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესს ხელმძღვანელობს და ახდენს ამ პროცესში სხვა მასწავლებლების ჩართვას.

ავტორიზაციის ექსპერტები გავეცანით ვალიდაციის პროცესის ამსახველ დოკუმენტაციას და გავესაუბრეთ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელს, რომელმაც დეტალურად აგვიღწერა შეფასების პროცესი. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

აკადემიის „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი“ ითვალისწინებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცედურას. აღნიშნული პროცედურის მიხედვით ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის მართვის სამსახურის ორგანიზებით, პროგრამის შემოწმების ფარგლებში, სამსახურის მიერ შერჩეული ვერიფიკატორის ან საჭიროების შემთხვევაში ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ. ვერიფიკაციის ჯგუფში სავალდებულოდ უნდა შედიოდეს იმ დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელი მიმართულების შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების ვერიფიკაციაც ხორციელდება. ვერიფიკაცია შესაძლებელია განახორციელოს მოწვეულმა პირმა/პირებმაც. აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების ან ვალიდაციის პროცესში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ვერიფიკაციის პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

აკადემიის „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი“ არეგულირებს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სატანადო აღრიცხვას და შენახვას. კერძოდ, შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებელია მოდულის განმახორციელებელი პირი/შემფასებელი. შეფასების მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულება, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღირისხება და უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება საამისოდ განკუთვნილ ადგილას. მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნას როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის შემდეგ შეფასების მტკიცებულებების განკარგვა ხდება აკადემიის ერთიანი საქმისწარმოების ინსტრუქციით.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

აკადემიაში „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესით“ რეგულირდება შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების, კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა. პროფესიული სტუდენტები იღებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. სტუდენტთა შეფასების შედეგები ასევე გამოიყენება პროგრამის განვითარების კუთხითაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი“;
- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი“;
- „სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წესი“;
- აკადემიის ადმინისტრაციასთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- -----

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

X. თანდართული დოკუმენტაცია

3. 05.2023 წ.

19

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- --

---------- ----- ----------